2017 წლის ბიუჯეტის I კვარტლის შესრულების

მოკლე მიმოხილვა

ეკონომიკური ზრდა

2017 წელის საქართველოს ეკონომიკაში დადებითი ტენდენციებით დაიწყო. ეკონომიკური ზრდის წინასწარმა მაჩვენებლებმა იანვარში 5,2%, თებერვალში 4,4%, ხოლო მარტში 5,3% შეადგინა. წინა წლის პირველ კვარტალთან შედარებით ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელმა 5,0% შეადგინა, რაც 2014 წლის III კვარტალში რეგიონში დაწყებული ეკონომიკური და პოლიტიკური არასტაბილურობის შემდეგ ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

მარტში ეკონომიკურ ზრდაში ძირითადი წვლილი შეიტანა:

- მშენებლობა (ზრდა 18.4%, წვლილი 1.6 პ.პ.)
- დამამუშავებელი მრეწველობა (ზრდა 9.1%, წვლილი 1.0 პ.პ.)
- ოპერაციები უძრავი ქონებით (ზრდა 12.1%, წვლილი 0.6 პ.პ.)
- სასტუმროები და რესტორნები (ზრდა 29.9%, წვლილი 0.5 პ.პ.)
- ვაჭრობა (ზრდა 7.3%, წვლილი 0.5 პ.პ.)



ინფლაცია

2017 წლის მარტში წინა წელთან შედარებით ინფლაციის დონემ -0,5% შეადგინა (ფასები შემცირდა 0,5%-ით). წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით ინფლაციის მაჩვენებელი 5,4%-ია, ხოლო საშუალო წლიური ინფლაციის (12 თვის საშუალო წინა 12 თვის საშუალოსთან) მაჩვენებელმა 2,1% შეადგიანა.



საგარეო ვაჭრობა

2017 წლის პირველ კვარტალში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 2 285.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 18%-ით მეტია; აქედან ექსპორტი 577.0 მლნ აშშ დოლარს შეადგენს (30%-ით მეტი), ხოლო იმპორტი 1 708.0 მლნ აშშ დოლარს (15%-ით მეტი). საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2017 წლის იანვარ-მარტში 1 132.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.



2017 წლის იანვარ-მარტში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ ევროკავშირის ქვეყნებთან 641.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 26 პროცენტით მეტია. აქედან ექსპორტი 159.0 მლნ აშშ დოლარი იყო (44 პროცენტით მეტი), ხოლო იმპორტი 481.0 მლნ აშშ დოლარი (21 პროცენტით მეტი).

დსთ-ის ქვეყნებთან საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 751.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (2016 წლის იანვარ-მარტთან შედარებით 35 პროცენტით მეტი). აქედან ექსპორტი 205.0 მლნ აშშ დოლარი (59 პროცენტით მეტი), ხოლო იმპორტი 546.0 მლნ აშშ დოლარი იყო (27 პროცენტით მეტი).

საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებია:

1. თურქეთი - 14,5%;
2. რუსეთი - 11.2%;
3. აზერბაიჯანი - 9.1%

საქართველოდან განხორციელებული ექსპორტის მიხედვით:

1. რუსეთი - 15.6%;
2. თურქეთი - 9.5%;
3. ჩინეთი - 8.6%;
4. ბულგარეთი - 6.8%;
5. აზერბაიჯანი 5.4%.

საქართველოში განხორციელებული იმპორტის მიხედვით:

1. თურქეთი -16.2%;
2. აზერბაიჯანი - 10.3%;
3. რუსეთი - 9.7%;
4. ჩინეთი 7.4%;

სასაქონლო ჯგუფების მიხედვით ექსპორტში:

1. სპილენძის მადნები და კონცენტრატები - 17.1%;
2. ფეროშენადნობები 14.0%;
3. მსუბუქი ავტომობილები 6.1%;
4. ყურძნის ნატურალური ღვინოები - 5.4%;
5. სამკურნალო საშუალებები - 5.3%.

იმპორტის სასაქონლო სტრუქტურაში:

1. ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადებია - 8.1%;
2. ნავთობი და ნავთობპროდუქტები - 7.1 პროცენტი%;
3. მსუბუქი ავტომობილები - 6.2%;
4. სამკურნალო საშუალებები - 5.4%.

ტურიზმი

2017 წლის მარტში ტურიზმიდან შემოსავლები გაიზარდა 28%-ით და 180 მლნ. აშშ დოლარი (39 მლნ. აშშ დოლარით მეტი) შეადგინა, ხოლო იანვარ-მარტში ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების 23%-იანი ზრდა დაფიქსირდა და 435 მლნ. აშშ დოლარს გაუტოლდა (83 მლნ. აშშ დოლარით მეტი). 2017 წლის იანვარ-მარტში 11.4%-ით გაიზარდა საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა და 1 266 125 ვიზიტორი შეადგინა.

2017 წლის პირველ კვარტალში წმინდა ფულადი გზავნილების მოცულობა 27.1 პროცენტით გაიზარდა და 245 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

- 2017 წლის მარტში წმინდა ფულადმა გზავნილებმა 95,2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 28,4 პროცენტით აღემატება გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.
- 2017 წლის თებერვალში წმინდა ფულადმა გზავნილებმა 79,5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 23,9 პროცენტით აღემატება გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.
- 2017 წლის იანვარში წმინდა ფულადი გზავნილების მოცულობა 29.1 %-ით გაიზარდა - ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების ნაკადების მოცულობამ 70,6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

ნაერთი ბიუჯეტი

ეკონომიკაში მიმდინარე ტენდენციები აისახა ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლებშიც. პირველ კვარტალში მოსალოდნელზე მაღალი იყო **საგადასახადო შემოსავლების შესრულება,** კერძოდ საგადასახადო შემოსავლებმა შეადგინა 2 376.4 მლნ ლარი, რაც:

- გასული წლის პირველ კვარტლის მაჩვენებელზე 327.9 მლნ ლარით მეტია (16%-ით მეტი);
- წლიური პროგნოზის 24.9%-ია, რაც უპრეცედენტოდ მაღალია. წინა წლებში პირველი კვარტლის ფაქტი წლიური ფაქტის 23.5%-ის ფარგლებში იყო;
- პირველი კვარტლის გეგმასთან შედარებით გადაჭარბებამ შეადგინა 163.4 მლნ ლარი (7.4%);



დადებითი ტენდენციებია შემოსულობების სხვა სახეებშიც და ჯამში პირველ კვარტალში მობილიზებულმა თანხებმა 2 914.0 მლნ ლარი შეადგინა, რაც დაგეგმილ მაჩვენებელზე (2 733.1 მლნ ლარი) 180.9 მლნ ლარით მეტია, ხოლო წლიური გეგმის 23.1%-ს შეადგენს.

ნაერთი ბიუჯეტის ხარჯვითმა ნაწილმა I კვარტალში შეადგინა 2 630.3 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმის 21%-ს შეადგენს.

განხორციელებული ოპტიმიზაციისა და ადმინისტრაციული ხარჯების შეზღუდვის შედეგად გასული წლის პირველ კვარტალთან შედარებით 2017 წელს 15.6 მლნ ლარით ნაკლები დაიხარჯა შრომის ანაზღაურების მუხლში, ხოლო 7.9 მლნ ლარით ნაკლები საქონელი და მომსახურების მუხლში.

რაც შეეხება ინფრასტრუქტურაზე მიმართულ თანხებს, პირველი კვარტლის ხარჯი შეადგენს 380.2 მლნ ლარს, რაც წლიური გეგმის 12.9%-ია, ხოლო გასულ წელთან შედარებით 24 მლნ ლარით მეტია.

სახელმწიფო ბიუჯეტი

2017 წლის იანვარ-მარტის სახელმწიფო ბიუჯეტის **შემოსავლების** საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 2 233 537.6 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 2 426 727.8 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 108.6%.

ათასი ლარი

დასახელება	გეგმა	ფაქტი	+/-	%
შემოსავლები	**2,233,537.6**	**2,426,727.8**	**193,190.2**	**108.6**
გადასახადები	2,097,000.0	2,274,272.0	177,272.0	108.5
გრანტები	66,562.6	87,912.7	21,350.1	132.1
სხვა შემოსავლები	69,975.0	64,543.1	-5,431.9	92.2

გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 2 097 000.0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 2 274 272.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 108.5%.

ათასი ლარი

დასახელება	გეგმა	ფაქტი	+/-	%
გადასახადები	**2,097,000.0**	**2,274,272.0**	**177,272.0**	**108.5**
საშემოსავლო გადასახადი	650,000.0	643,211.8	-6,788.2	99.0
მოგების გადასახადი	206,000.0	259,184.8	53,184.8	125.8
დღგ	798,000.0	960,794.3	162,794.3	120.4

დასახელება	გეგმა	ფაქტი	+/-	%
აქციზი	342,000.0	331,105.8	-10,894.2	96.8
იმპორტის გადასახადი	19,000.0	18,265.8	-734.2	96.1
სხვა გადასახადი	82,000.0	61,709.5	-20,290.5	75.3

გრანტების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 66 562.6 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 87 912.7 ათასი ლარი, მათ შორის:

- ბიუჯეტის მხარდამჭერი გრანტები - 33 063,6 ათასი ლარი;
- საინვესტიციო გრანტები - 26 260,0 ათასი ლარი;
- წლის განმავლობაში მიღებული მიზნობრივი გრანტები - 15 168,3 ათასი ლარი;
- „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის შესაბამისად საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში მიმართული სახსრები - 13 420.9 ათასი ლარი;

სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 69 975.0 ათასი ლარის ოდენობით, მობილიზებულ იქნა 64 543.1 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 92.2%.

არაფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 36 631.3 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებელის (17 500.0 ათასი ლარი) 209.3%-ია.

ფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 11 655.5 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (12 000.0 ათასი ლარი) 97.1%-ია.

ვალდებულებების ზრდის მაჩვენებელმა შეადგინა 223 375.5 ათასი ლარი, მათ შორის:

- 88 856.3 ათასი ლარი - სახაზინო ფასიანი ქაღალდების გამოშვებით საშინაო ვალდებულებების ზრდა;
- 134 519.1 ათასი ლარი - საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან და სხვა სახელმწიფოების მთავრობებისგან მიღებული საინვესტიციო შეღავათიანი კრედიტები.

ჯამში, 2017 წლის პირველ კვარტალში სახელმწიფო ბიუჯეტში მობილიზებულმა თანხებმა შეადგინა 2 698 390,1 ათასი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების შესრულება

„საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები განისაზღვრა 11 415 475.0 ათასი ლარით. აღნიშნული სახსრებიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 2 767 384.0 ათასი ლარი, რაც წლიური დამტკიცებული ბიუჯეტის 24.2%-ია. საკასო შესრულებამ შეადგინა 2 473 392.7 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 89.4%-ია.

საქართველოს 2011-2017 წლების სახელმწიფო ბიუჯეტების წლიური, კვარტლის გეგმიური და საკასო მაჩვენებლები

(ათას ლარებში)



საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით გაწეული ასიგნებების სტრუქტურა შემდეგია:

- ხარჯები - 2 071 274.2 ათასი ლარი, რაც მთლიანი საკასო მაჩვენებლის 83,7%-ია;
- არაფინანსური აქტივების ზრდა - 120 361.8 ათასი ლარი, რაც მთლიანი საკასო მაჩვენებლის 4,9%-ია;
- ფინანსური აქტივების ზრდა - 138 292.8 ათასი ლარი, მთლიანი საკასო მაჩვენებლის 5,6%;
- ვალდებულებების კლება - 143 464.0 ათასი ლარი, მთლიანი საკასო მაჩვენებლის 5,8%;



ძირითადი მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით ასიგნებების ათვისების მაჩვენებლები:

- **ჯანდაცვის სამინისტრო** - 835,349.0 ათასი ლარი (შესრულება 100%);
- **განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო** - 235,909.1 ათასი ლარი (შესრულება 84,3%);
- **რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო** - 206 801,5 ათასი ლარი (შესრულება 105,5%). აღსანიშნავია, რომ წინა წელთან შედარებით გაწეული საკასო ხარჯი გაზრდილია 68%-ზე მეტით;
- **სოფლის მეურნეობის სამინისტრო** - 47,796.2 ათასი ლარი (შესრულება 99,2%);
- **ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო** - 54,757.5 ათასი ლარი (შესრულება 96,9%);
- **თავდაცვის სამინისტრო** - 155,130.4 ათასი ლარი (შესრულება 77,7%);
- **შინაგან საქმეთა სამინისტრო** - 134,459.2 ათასი ლარი (შესრულება 95,9%);
- **სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო** - 45,384.2 ათასი ლარი (შესრულება 82,0%);
- **იუსტიციის სამინისტრო** - 40,283.0 ათასი ლარი (შესრულება 96,6%);
- **ენერგეტიკის სამინისტრო** - 33,489.2 ათასი ლარი (შესრულება 82,8%);
- **სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო** - 32,623.4 ათასი ლარი (შესრულება 98,2%);
- **ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო** - 32,393.5 ათასი ლარი (შესრულება 78,1%);
- **საგარეო საქმეთა სამინისტრო** - 30,618.2 ათასი ლარი (შესრულება 87,2%);
- **კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო** - 22,529.6 ათასი ლარი (შესრულება 77,8%);
- **ფინანსთა სამინისტრო** - 17,008.5 ათასი ლარი (შესრულება 79%);
- **გარემოს დაცვის სამინისტრო** - 7,216.2 ათასი ლარი (შესრულება 97,7%);

სახელმწიფო საგარეო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვისათვის საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაიხარჯა 129,784,0 ათასი ლარი, მათ შორის - 92,404.2 ათასი ლარი წარმოადგენს ძირითადი თანხის დაფარვას, ხოლო 37,379.8 ათასი ლარი პროცენტის თანხას.

სახელმწიფო საშინაო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვისათვის საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაიხარჯა 89,297.6 ათასი ლარი, მათ შორის - 82,297.6 ათასი ლარი წარმოადგენს ძირითადი თანხის დაფარვას, ხოლო 7,000.0 ათასი ლარი პროცენტის თანხას.

მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ნორმატიული აქტებით გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ შეადგინა 9 254.0 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ - 3 008.8 ათასი ლარი.

პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან ნორმატიული აქტებით გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ შეადგინა 1 545.3 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა - 552.9 ათასი ლარი.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ნორმატიული აქტებით გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ შეადგინა 157 093.7 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა - 1 122.5 ათასი ლარი.